


წალიწალი
პირველი

5 მაისს
1877 წ.



საზოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი.

გამოდის ხუთშაბათობით

ხალის მოწმარა: ტფილისს, ჟიგერის რედაქციაში, მთაწმინდის ქუჩაზე, შიოკვის სახლების ზემოდ. № 5 ქუთაისს, ანტონ ლორთქიფანიძის ბიბლიოთეკაში.

ჟიგერის ფასი 1877 წელს.

ათის თვისა, ეკვსაგნით და ეკუყსაგნულად. . . 6 მან. —

ათით სომერო — 15 კაპ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შე-
მოკლებს დასაბეჭდათ გამოგზავნილ წერილებს.
განცხადება მიიღება ქართულსა და რუსულს ენაზე.

საძიებელი: I. საქართველოს მატრიანე. — II. ომის
ამბები. — III. საზოლიტიკო მიმოხილვა. — IV. ზოგი-
ერთი რამ, წერილი მეორე — V. თ. ალექსანდრე ჭავჭავაძის
ლექსი. — VI. რა მიზეზია სერბიის დამარცხე-
ბისა? — VII. რუსეთი. — VIII. განცხადებაანი.

საქართველოს მატრიანე

ვიცინოთ, თუ ვიტყვით.

გვრანებ არა ქვეყანაში არ მოხდეს ის, რაც ესე
ამჟამად ჩვენში მოხდება ხოლმე საკვირველია!... რაც
უნდა უშუალოდ, უმგზავსო, სულელობით აღსავსე საქმე
იყოს, ჩვენში იფესს გაიდგამს ხოლმე, მეტი ისე რომ უფრ-
საც არავის შეაბღერტინებს. ანც მის მომქედსა აქვს
შიში, რომ მოკვად დრო და მომკითხავს ვინმეო, ანც მის
მეუფრებელსა აქვს სირცხვილი, რომ აგრე პირუტყულად
რასუდ ვექვლინებო.

ჩვენ რის ამბის მობაც გვიინდა დაუჭერებელია.
ანც თვითონ დავიჭერებდით, რომ სანდო ვადისაგან არ
იყოს გადმოდკემული.

ჟიგერისში“ ამას წინად მოხსენებული იყო, რომ
გორში არსებობს შარშანდელს აქედ საოსტატო სემინარ-
ია, ესე იგი, იმისთანა სასწავლებელი, რომელმაც უნდა
მოამზადოს ოსტატები, მასწავლებლები ჩვენის სახლხო
სასწავლებელთათვის. რასაკვირველია, თქვენ იფიქრებთ
რომ აქ ქართულს ენას პირველი ადგილი ეჭირება სხვათა
შორის. მაგრამ ეგ აგრე არ არის. სემინარიის გულის-
ხმიერს გამგეობას ვადუწვევებო, რომ ქართველთა ბაშე-
ბის ოსტატს ქართულის ცოდნა გულის აუსუეებსო. ამის
გამო იმ სემინარიაში ქართულს ენას არ სასწავლიან, ისე

რომ ქართულის სახსენებელიც გაუქრიათ. როგორ მო-
წონთ? შუა გულს ქართლში მთავრობამ სემინარია გასწა-
მერე იმისათვის, რომ ქართულის სოფლის ბაშეკებისა,
თვის ოსტატები გამოასწორებინოს და მანც ვიდევ ქარ-
თულს არ სასწავლიან. ვიცინოთ ამასუდ, თუ ვიტყ-
ვით?

წარსულს სექტემბერს ამ გორის სემინარიაში შე-
ვიდა ორმოდცა ათი მოწაფე. ამათ რიცხვში ოცდა თერთ-
მეტი უმაწვილი ქართველია, დანარჩენი სხვა და სხვა
გვარ-ტომისანი არიან. მასანადამე რაოდენობა ქართველთ
უმაწვილებისა შეადგენს ორ მესამედს მთელს რიცხვისას.
მოამზადლებიან, რასაკვირველია, ქართველთა მოწაფეთა რიც-
ხვი ამ გვარადვე მეტი იქნება სხვებზედ. რასაკვირველია
თქვენ იფიქრებთ, ამის გამო მანც ქართულს ენას სე-
მინარიაში საკალი ექნებაო. სემინარიის გულის-ხმიერს
გამგეობას სულ სხვა იფიქრი მოსვლია. მის დირექტორს
მოუწვევია საშეგლად მეცნიერება, გამოუძიებია და დაუს-
კვინა რომ ქართველები ქართველები არ არიანო. ჩამო-
მავლობით, ამბობს იგი, სემინარიის მოწაფენი ეკუთვ-
ნიან თარმეტს გვარ-ტომობასაო; ამათ შორის 1) რუ-
სები არიანო ექვსნი 2) ქართველები ცამეტნი, იმერლე-
ბი თარმეტნი, სომხები ექვსნი, ზოლგები ორნი, ინგი-
ლო ორნი, გურული ორნი, ფშავნი ორნი, აბსახნი ორნი,
უდინი ერთი, ჩერქეზი ერთი და ბერძენი ერთი. ამ გვა-
რად ქართველი, გურული, იმერელი, ფშაველი ქართვე-
ლად არ უცვნიან გორის სემინარიის მეცნიერებას. მას
უფ. დირექტორის აზრით რუსი, მოსკოველი, ტამბო-
ველი, ვარკიშევილი რუსი არ უნდა იყოს, ეს სულ სხვა
და სხვა ტომისანი უნდა იყვნენ. ნუ თუ ამის თქმასდო-
მებია უფ. დირექტორს, რომ ისე სასაცილოდ ქართვე-
ლი ქართველს განუშორებია? არა, ბატონო. იმას ეს
უფიქრია: „მართლა ქართველი რომ ქართველად დარჩესო

ხომ მკითხვენ, რადა თერთმეტი ქართული მოწაფე გუგეს და რატომ ქართულს არ ასწავლია. თავი რად ავიტყვიოკო. ის არა მხოლოდ ვისთქვას, რომ ქართველი ქართველი არ არისა. ძალიან კარგად მითხრობია, სახელი და დიდება მიმეცნებულს....მაგრამ ჩვენ ამას უნდა ვიცინოთ, თუ ვიტყვით?

სემინარიისთან არსებობს მასამზადებელი კლასი, რომელსაც პრესემინარიას უწოდებენ. წესდებულების ძალით სემინარიისთან უნდა დაწესებულიყო სამი პრესემინარია: ერთში უნდა ისწავლებინათ ქართველებმა, მეორეში რუსებმა და მესამეში სომხებმა. შარშან სექტემბერში დაწესდა მხოლოდ ქართული პრესემინარია. ყოველის ეტვის გარედი იყო ევლასათვის, რომ ამ სასწავლებელში, რომელიც განსაკუთრებით ქართველებისათვის არის დანიშნული, ჯერჯერობა მიეცემოდა ქართულს ენას. მაგრამ აქაც უკუღმა დატრიალებულა საქმე. ამ პრესემინარიის მეორე განყოფილებაში ქართულის ენის სწავლებაც არ არის; მისთვის ერთი საათიც არ არის კვირის დანიშნული და მოწაფენი ქართულს წიგნებსაც მოკლებულნი არიან. შესაძლებელია რომ გორის სემინარიის გამგებანს ქართულის ენისათვის დრო არა მხოლოდ, რადგანაც კონსტანტინოპოლის გამგებლებსაც კერძო წარჩინებულად შეესდგომია თვისთა სასახლეოდ და იმ გამგებლებშია გაჩნდილი, ჩვენ აქ არა გვეთქმის რა. მაგრამ ქართულს სასწავლებელში რომ ქართულს არ ასწავლიდნენ — ეს მანაც და მანაც დაუფრებელია. ჩვენ მარტო ამას ვკითხულობთ: ამას უნდა ვიცინოთ, თუ ვიტყვით?

იმევე პრესემინარიის პირველს განყოფილებაში თუმიცა ქართულს ასწავლიან თურმე, მაგრამ ყოველ დღის მისივეს ხმარობენ, რომ ბავშვებს ჩათვლით კითხვისა და ქართულის ასრულების ჯალანის მეტი არა ისწავლებს რა, უსათუოდ ამ განზრახვით მოუგონიათ ისეთი მეთოდი, რომ ქართული სწავლა ვი არა, ვგონებთ ისიც დაავიწყდეს ბავშვს, რაც იცოდა. ამ მეთოდის მიმგონებელი განსაკუთრებით ქართულის პრესემინარიის მასწავლებელი უფ. ნათიყვი. ეს მეთოდი აი რაში მდგომარეობს: ერთსა და იმავე დროს ბავშვმა უნდა გაიკეთოს ქართული ასრულება, რუსული ასრულება, ისწავლოს მათი გამოსატყვა, მათგან მარცხების, სიტყვების და ფრაზების შედგენა. ამასთან მათ უნდა დასხვობდნენ რუსული სიტყვები და ხსენან რუსული ფრაზები. საწყალი ბავშვებო! თუ თქვენ ამ ბაბილონის გოდოლის ამგონებაში სრული გონება გიდევე შეგჩნათ, ბარაქლას თქვენის ბუნების ძლიერებას!... ჩვენი ქართული ანდაზა „ერთი კურდღლის მდედარი ვერც ერთს ვერ დაიჭერს“ უფ. ნათიყვის ვერ მოხსწრებია და უთქვამს: მე დაუპოვებებო ქვეყანასა, რომ მე ოთხს უკურდღელს გამოუდგები და ოთხსაც ერთად დავიჭერო. ხეტავი ეჭვისი

ერთად დაიჭირებს, ოღონდ ვი მარტო უკურდღელს გამოუდგეს და ბავშვების სწავლას ვი თავი დანებობს. უფ. ნათიყვის განჯიშობას უნდა ვიცინოთ, თუ ვიტყვით?

უფ. ნათიყვი არც ოთხის კურდღლის გამოდგომის დაწესებულებას. მესუთე კურდღელიც გაუგდია წინ. არ ვიცით რა უნდა ვუქათ უფ. ნათიყვის, — სირბილი, თუ მუქობა. ქართულს და რუსულ ანბანთან იგი ასწავლის თურმე მოწაფეებს მესამე ანბანსაც. ეს ანბანი არ განსაკუთრებულად ფრანგიულია, არც ნემეტი, არც ლათინური, არც ბერძნული, ერთის სიტყვით, იმ ანბანით, რაც გაცნობრიანს ასრულებს, არც წიგნი დაბეჭდილად და არც დაწერილად. იგი არ უნახავს წარსულსა, არ არსებობს აქმურში და ყოველად შეუძლებელია მომავალში. იგი მომზადებულია უფ. ნათიყვის მისთა მოწაფეთა უბედურებისათვის. რა ანბანის ასეთი ახარებული ანბანი, იკითხავს მკითხველი. აი რა ანბანია, ნათიყვის სიზმარი უნახავს, რომ ქართული სიტყვები რუსულას ასრულებით უნდა დაიწეროს, აუღია და თვის ანბანში შიგა და შიგ ქართული სიტყვები ჩაურთავს რუსულას ასრულებით. რადგანაც რუსულს ანბანს აკლია სუთმეცადის ნიშნები ჩვენის სმების გამოსახატავად, ამიტომაც უფ. ნათიყვის თავისთა მოუგონია ანალი ასრულები არც რუსული, არც ქართული, არც ამ მთისა არც იმ მთისა, და ამ ანბანს ასრულებით შეუვისა რუსულის ანბანის ნაკლი და ჩვენი ანბანიც გაუმიდრებია. აქ სწორედ უფ. ნათიყვის ორი კურდღელი ერთად დაუჭირა. ბარაქლას მის ფეს-მარდონას და სასწავლებელს. მაგრამ ჩვენი სასწავლის ბავშვების რა გადასახდელია, რომ უფ. ნათიყვი ფეს-მარდონა. იმ ბაბილონის გოდოლს, რომელიც წინ მოვისხენიეთ, მესამე ანბანიც დაუმატა თურმე უფ. ნათიყვი. ვაი თქვენი ბრალი, საწყალი ბავშვებო! არ გუფოფათ განა ამდენი ამბანები, რომ „ნათიყვი“ ანბანიც, თქვენდა საუბედუროდ, არ გამოჩენილიყო. ჩვენ ამას უნდა ვიცინოთ თუ ვიტყვით?

აბა ეს ამბები შეიძლება რომ სხვაგან სადმე მოხდეს და ისე დაუხველად ჩაიაროს? მცნებადმეტეს საუბურში, ესე ამას რად სამასხაროდ საქმე გამხდარა სადმე? ესეთი სასწავლოდ აგდება მთავრობის კეთილ განგარებულებისა, მთავრობის დაწყობილებისა სადმე გაგონილად? გაგონილად რომ ესეთი წერილ-ფურცლისა, რეგორიც უფ. ნათიყვის და სემინარიის გამგებანს, ესე ფურცად სდიდეს მთავრობის ჩვენადმი მხრუნველობას და გულმტკივნეულებას?... ჩვენ ამას უნდა ვიცინოთ, თუ ვიტყვით?

თუ ჩვენ გვეთხვავთ, ორივეს მიზეზი და საბუთი სკლთა გვაქვს.

— კვიპანის გუბერნატორს მოხსენება მოუთმე-
 ვის მის იმპერატორების უმადლესობას. თუკ მასზედ
 რომ 30 აპრილს დღისით თერთმეტს საათზედ წსუბი
 მოსულიათ ელისავეტოლას ცხქრისნის ზოლვის ჯა-
 რის კაცთ და სომეხთ ვაჭართა წსუბში მოხსწილკობა
 მიუღიათ იქაურთ მხმადიანელთაცა. ამ წსუბში ზოგნი
 დაუჭრიათ, ზოგის ქონება აუკლიათ და ერთი ჯარის
 კაციც მოუკლათ. ზოლიცინს ყოველი თვისი ღონისძიე-
 ბა უხმარია, მაგრამ ვერა გაუწყობა რა. ადგილობრივის
 ბატალიონისა და ყაზახების ჯარის კაცნი მოუწყობათ და
 ამთ შექმნილათ წსუბი მოუხმიათ, ისე კი რომ იარაღი
 არ უხმარიათ.

ამ საქმეში 15 კაცი დაჭრილან, მათ შორის ორი
 ხინოკიანი, ერთი სადღათი და ორი მილიციონერი,
 ერთი მილიციონერიც მოუკლათ. ელისავეტოლას ცხქ-
 რისნის ზოლვი ქალაქ გარედ გასულა და ქალაქიდან შეიღს
 ვერსტზედ დამდგარა. (უკაგუნი“)

— აზრილის ნახევრიდამ მთებს იქით თერგის მხა-
 რეში (Терская область) იჭკეს, აუხს და არღუნის
 ერთს ნაწილში არეულობა რამ დაუწყიათ და ბოლოს
 ეს არეულობა აშკარა აჯანყებათ გადაქცეულა. რამდენიმე
 დღის განმავლობაში ორასი კაცი მოგროვილა, თავისი
 იმაში ამოუჩნეიათ და ზირდაზირ გასდგომიან იქაურს
 მმართველობასა. იმედი ჰქონიათ რომ სსუბსაც მოვიმს-
 რობთ. რომ ეს არეულობა დიდსა ხსენსოს არ გადაჭ-
 დებოდა ორგან მთავრობას ჯარი შეუკრებია და გა-
 მოუცხადებია, რომ მთელი თერგის მხარე სამსეღრო წეს-
 ზესა დღეის იქით დაუჩქებელი. არც ამ ჯარების შე-
 კრებამ არც თვით ადგილობრივის მმართველობის მეც-
 დინეობამ, არც იმ შემთხვევამ, რომ თვით იმათგანვე
 უფრო გონიერი უჩხვედენ მშვიდობიანობის ჩამოკლე-
 ბას, — ვერ შეაყნა თურმე აჯანყებულნი.

აჯანყებულნი მისდგომიან ჯერ მანოკტუნს და
 სურკეპიათ ძალით მიემხროთ იქაური ხალხი, მაგრამ
 მაგ სურვილს უქმად ჩაუკლია. მერე მიჭსდგომიან სოფ-
 შალუს, რომელიც ჩეხნის შუა-გულია და რომელსაც სი-
 დიდით, თუ მნიშვნელობით ჩეხნებში დიდი ხმა აქვს.
 სურკეპიათ რომ ეს სოფელი მიმხრობოდათ მათ და ამით
 ჩეხნებიც გაერთიანდნენ აჯანყებაში, მაგრამ შალაქები თოფ-
 იარაღით დასკვდრიან და დაუმარცხებიათ აჯანყებულნი და
 გაუჭკეციათ. თავის შესაფარებლად ცდილან სოფ. ავტუ-
 რაში შესულიყვნენ, მაგრამ აქაც მცხოვრებნი წინ აღუდ-
 გომიან, ბევრნი აჯანყებულნი დაუსრცინიათ და დანარჩენი
 გაუფანტნიათ. იმდენად კეთილი შედეგი ჰქონია ადგი-
 ლობრივთა მცხოვრებთა მთავრობისათვის თავ-გამოკლება,
 რომ ამჟამად თერგის მხარეში მშვიდობიანობა ჩამო-
 ვარდნილა.

რ მ ი ს ა მ გ ე ბ ი.

წარსულის კვირის განმავლობაში შემდეგი
 ამბები მოვიდნენ ომის თაობაზედ:

— 29 აპრილს ღენერალ ოგლობჟიოს მოწინავე
 ჯარი მუხა-ესტატიდამ დაძრულა და, ორი ვერსტი
 რომ გაუვლია, ომით დაუჭერია ძალიან კარგად გა-
 მაგრებული ოსმალების მიერ ხუც-უბანის მალლობი.
 ამ ომში ოსმალებისა ბევრი კაცი დახოცი-
 ლა. ჩვენი თორმეტი ჯარის კაცი მოუკლათ.
 გარდა ამისა ცხრა აფიცერი და ას-შვიდი ჯარის
 კაცი დაუჭრიათ.

— 1 მაისს ამ ხუც-უბანის მალლობზე, უწინდელის
 საქრისტიანო ტაძრის ნანგრევებზედ ჩვენებს პარაკ-
 ლისი გაღებლიათ და ღვთისათვის მალლობა შეუ-
 წირავეთ გამარჯვებისათვის.

ორი დღის განმავლობაში ოსმალებს თოფიც
 არ გაუსროლიათ. ჯარი მოუთმენლობით ელის
 ახალს ომსაო.

— 700 ცხენოსანის ჯარის კაცი ყარსიდამ გა-
 მოსულა და გაჭკეცია ოსმალოსა ქალაქს ყარსის
 მცხოვრებნი სასტიკად თხოულობენ თურმე, რომ
 ოსმალოს ჯარი მინდვრად გავიდეს და მტერს დახე-
 დესო.

— ღენერალი ლორის მელიქოვი, თვისი ლაშ-
 ქრის ერთის ნაწილით ზამიმიდამ გასულა არდაღნის-
 კენ და 30 აპრილს სოფლის ხევისკარის ახლოს
 დაბანაკებულა.

— აპრილის 23—29-მდე ჯარი არდაღნის სი-
 მაგრების დასათვალისებლად თარეშად გასულა.
 27-აპრილს ოსმალოს ქვეითა ჯარი სიმაგრადამ გა-
 მოსულა და სროლა აუტეხნია. მაგრამ ჩვენს არტი-
 ლერიას ოსმალები უკანვე გაუბრუნებია. 28-ს ოს-
 მალოს ჯარი ხელახლად გამოსულა, მაგრამ მინც
 ვერა გაუწყვიარა. ჩვენის მხრით არავენ არც კი
 მოკლულა.

— ერთი პოლკი ქვეითა ჯარისა და ერთი პო-
 ლკი ყაზახისა ყარსის ახლო-მახლო თარეშად გა-
 სულა, ოსმალოს საქონელი და 220 ცხვარი მო-
 უმწყდევია და წამოუსხავს. ჩვენის მხრით არავენ
 არ მოკლულა.

— 29 აპრილს, ერენის მოწინავე ჯარს სურთ-
 ოჰანესი აუღიათ. ახლო-მახლო სოფლებში მცხოვ-
 რებნი. ქურთები მოდიან და ჩვენებს ემოჩილებიან
 თურმე.

— ბაიაზეთის აღების დროს ტყვეთ დარჩენილა ოსმალოს ჯარის ექიმში ჰოფმანი, რომელიც ავსტრიის ქვეშევრდობია.

— 29 აპრილს შუალამისას გულაუტს *) მიადგა ექვსი ოსმალოს სამხედრო ხომალდი, გადასწვა გულაუტი და გადმოსხა ხმელეთზე ორი ათას კაცამდე. ეს ორი ათასი კაცი სულ იმათგანი არიან, რომელნიც ოსმალეთში გადასახლდნენ.

ლუნაის მხედრობის შესახებ უნდა მოგახსენოთ, რომ იქ წინ წაწევა უფრო ძნელია, ვიდრე კავკასიის სამხედროზე, რადგანც ლუნაიაზედ გადასვლა ძალიან მძიმეა მეტადრე ეხლა, როდესაც წყალ-დიდობაა. გარდა ამისა ოსმალეთს ლუნაის ნაპირებზე ჩინებული ციხე-სიმაგრენი აქვს აშენებული, და ეს სიმაგრენი უმძიმებენ ჯარს ლუნაიაში გასვლასა. ჯერ-ჯერობით აი რა ამბები ისმის ლუნაის მხრიდან: ოსმალოს სამხედრო ხომალდები ესვრიან ზარბაზნებს ქალაქს ბრაილოვს. ერთი დიდი ოსმალოს ხომალდი 200 კაცით ლუნაიაში დალუპულა, რუსის ზარბაზნის ყუმბარა მოხვედრია და მაშინვე დაუძირავს. გარდა ამისა ქ. ისაკილამ **) ოსმალებს ზარბაზნის სროლა აუტეხნიათ და დაუტყვევიათ ერთი მონასტერი, რომელიც რუსებმა ააშენეს იმის სახსოვრად, რომ 1828 წ. ლუნაიაზედ გადავედითო. ერთი რუსის სალდათიც მოუტლავთ.

— ბუხარესტში ელიან რომ რუმინია დღესათუ ხვალ ომს გამოუტყნადებს ოსმალეთსაო, და თავის სრულ დამოუკიდებლობას აღიარებსო.

ექვსი ოსმალოს სამხედრო ხომალდი სუხუმის მისდგომია და ზარბაზნის სროლა დაუწყევია

სახლოტიკო მიმოხილვა

რუმინია.—რუმინია დიდად საჭიროა რუსის მხედრობისათვის, როგორც უკეთესი გზა ოსმალეთში შესვლისათვის. ამის გამოცხადებით ევროპის ყურადღება მასზედ იყო მიქცეული თუ როგორ მოაქცევა ამ შემთხვევაში რუმინია, რომელსაც ერთის მხრით ოსმალეთი

*) გულაუტი შავი ზღვის ნაპირს არის სუსუმის ზეგით, ბიუჯუნდის მახლობლად.
**) ოსმალეთის ქალაქია ლუნაის ნაპირს.

უუყრებს როგორც თავის განუშორებელს ნაწილს და რომელიც მეორეს მხრით თვით წაღს თავის თავს თავისუფალ და დამოუკიდებელ სახელმწიფოთ. მთავარმა კარლამ მოიწვია ჰარლამენტი, სადაც სსვათა შორის წარმოსთქვა შემდეგი: „ომი ასტყდა. ჩვენ ვინმარეთ უოკელი დონისძიება, რომ ჩვენ არც ერთს მსარეს არ მივდგომოდით, მაგრამ ვერა გავაწუთ რა; ოსმალეთმა უარ-ტყე ჩვენი წინადადება. ოსმალეთის მთავრობამ კონფერენციასაც კი არ შეიტანა ჩვენი თხოვნა.“) მაშასადამე ესლა ჩვენ თვითონ უნდა ვიზრუნოთ ჩვენის თავისათვის. ჩვენ უნდა მივცეთ გზა რუსეთის მხედრობასა, მაგრამ ჩვენ მოვალენი ვართ ვინმარეთ უოკელი დონისძიება, რომ ჩვენნი ქვეყნის ბრძოლის ველად არ გასდეს, ჩვენი ქალაქები და სოფლები ნაცრად არ იქცნენ, და ჩვენი ქონება არ დაიღუპოს ომისაგან, რომელიც არც გვადგობია და რომლის ატეხაში არც არავითარი მონაწილეობა არ მივკიდია. რუსის მხედრობისათვის გზის მიტეხაზედ ევროპის სახელმწიფოებს არავითარი უკმაყოფილება არ გამოუცხადებიათ. ესლა, კონსტიტუციის ძალით, თქვენ უნდა მთავრობას დაუნიშნოთ ის გზა, რომელსაც იგი უნდა დაადგეს საკულად. როდესაც რუსეთის მხედრობამ ჩვენს ქვეყანაში შემოსვლა დააპირა. ხელმწიფე იმპერატორმა ალექსანდრემ გამოაცხადა, რომ იგი სრულებით არ შეეხება არც რუმინის წესიერებას და არც მის თავის უფლებას. ამის დასამტკიცებლად რუსის მხედრობა სრულებით არც კი მიეკარება ბუნარესტს *).

ერთისა და იმავე მამულის შვილიო! დაწმუნებული ვარ, თქვენ გიღვივით მსოფლად ერთი და იგივე სურვილი, ერთი და იგივე წადილი,—ეგ წადილი, ეგ სურვილი ჩვენის სამშობლოს კეთილ-დღეობას. მერწმუნეთ, მე ჩემის მხრით შევიძლებ ჩემის მოკალეობის აღსრულებას. რა დღესაც ამ ქვეყანაში შემოვდგი ფეხი მე რუმინელად შევიქმენ. უწინდელთა სახელგანთა რუმინის მთავართა წადილი ჩემი წადილია: როგორც იმით, მეც ისე მსუწს რუმინის ამაღლება, ყოველის მისის უფლებისა და დაურღვევლობის დაცვა. ამ სურვილის აღსრულებისათვის ჩემს თავს დავსდებ მსხვერპლად, რაკი ჩვენი უმწიფილ-კაცობა და მამანი ღაშქრობა თან მიუღლებს.

— რუმინიამ თავის მამულზედ გზა მიჭსტა რუსის მხედრობასა და აღუთქვა, რომ მას მეტობრულად მოეკცევა.

*) ეს თხოვნა ოსმალეთის კონსტიტუციის შესახებ იყო, რადგანაც კონსტიტუციაში ზოგიერთი მუხლია მოხსენებული, რომელთა ძალითაც ოსმალეთი რუმინისაგან ისე უუყრება, როგორც სსვა ქვეშევრდომ ქვეყნებს.
*) რუმინის საჯ. სჯო. ქალაქია.

— ოსმალეთის ელჩის საფრანგეთში წარუდგენის ქრწოდ ღვესისათვის *) თავისი მთავრობისგან მიღებული წერილი, რომელშიაც ოსმალეთი აცხადებს თავის წინააღმდეგობას იმ შეკრულობის (კონვენციის) შესახებ, რომელიც რუმინიისა და რუსეთის შორის მომხდარა. ეს შეკრულობა ოსმალეთის ღალატია, რადგანაც რუმინიის სრული თავისუფლება არა აქვს და ოსმალეთზედ არის დამოკიდებული.

ამ გვარი ფართი-ფურთხობა ოსმალეთისა, რომელც მოგვსენებათ, ტყუილ-უბრალე ბღაჯან და ღაზაჩიას. საქმე თოფსეა მივარდნილი და რაც უნდა ბეგრი ილაზარჯიას ოსმალეთმა, უეჭველია რომ რუმინიაც რაში გაერკვას და თავის ჯანს ოსმალეთის წინააღმდეგ გამოიყვანს.

ინგლისი.— ინგლისის პოლიტიკას იგივე განხეთქილება ეტყობა როგორც ადრევე. ერთის მხრით ინგლისის მთავრობამ თავისი სრული განხე დგომა (ნეიტრალიტეტი) გამოაცხადა, მეორის მხრით დიდი მზადება აქვს ომისათვის. სამინისტრო გასუთები დიდ მტრობას იხევენ რუსეთისადმი და სხვა გასუთები კი დიდ თანგმნობას.

აი რას იწერება ერთი სამინისტრო გასუთი, „Morning Post“: „ცხადია, რომ რუსეთის მოქმედება ამ ჟამად დიდ ვნებას მოასწავებს ინგლისისათვის, რადგანაც რუსეთი ჰსტადილობს როგორც ვერძაში, ისეც აზიაში ინდოეთისაკენ გზა გადგვიღობოს და შეგვიკრძას. სტამბოლი და ეფრატის კელი თითქმე ბუნებით არიან დაინიშნულნი შირდაზიერ გზად დასავლეთისა და აღმოსავლეთ ქვეყნებ-შორის, და რუსეთი ეძებს შემთხვევას ატეხოს როგორც შელიდამ გამოგვაცხადოს უბირატესობა ამ გზაზე.“ ერთის მხრით ხომ ამას ამბობენ, მეორეს მხრით კი გლადსტონმა *) წარუდგინა პლატს, რომ მან გამოუცხადოს ოსმალეთს თავისი სამდურავი შესახებ იმ ბლოკატებისა, რომელიც ბოლგარიაში მოხდა, გარდა ამისა, უნდა ინგლისის მთავრობამ გამოაცხადოს, რომ ვიდრე ოსმალეთის მთავრობა არ გამოიცვლის თავის საქციელს და ნამდვილ დასაჯებულ საბუთს არ წარმოადგენს, რომ შესცვლის თავის შინაგან მმართველობას, იმ დრომდე მას არ ექმნება უფლება მოელოდეს ინგლისისაგან თანგმნობას და რომელსავე შემწეობასა. გლადსტონს ჰსურს რომ ინგლისის მთავრობამ შეაცვლიეროს ოსმალეთს შინაური წყობილება და აჯანყებულს პოლიტიკებსა, თავისუფლებას მიანიჭებინოს, ისე კი რომ სხვამ სხვამ წი-ფომ იმ პოლიტიკები სელში არ ჩაიგდოს. ვნახოთ რა რიგი ბაასი გაიმართება პარლამენტში ამის შესახებ. გლადსტონის წინადადების თაობაზე დიდი აღფრთხილება ინგლისში. სხვა და სხვა ალაგს დიდძალი ხალხი იკრიბება და დიდი ბაასი და ქოთქოთია. თუმცა გლადსტონი დიდ თანგმნობას პოულობს პარლამენტის გარეშე, მაგრამ, საწუხაროდ, შიგ პარლამენტში თითქმის მარტოვანია, ასე რომ თვით მისი უწინდელი მეგობრებიც კი ჩამოეცაღვენ. თუ ესლანდელი სამინისტრო არ გამოიცვალა, ინგლისი, რასაკვირველია, რუსეთის წინააღმდეგ პოლიტიკას გაჭეკება.

ვისუფლება მიანიჭებინოს, ისე კი რომ სხვამ სხვამ წი-ფომ იმ პოლიტიკები სელში არ ჩაიგდოს. ვნახოთ რა რიგი ბაასი გაიმართება პარლამენტში ამის შესახებ. გლადსტონის წინადადების თაობაზე დიდი აღფრთხილება ინგლისში. სხვა და სხვა ალაგს დიდძალი ხალხი იკრიბება და დიდი ბაასი და ქოთქოთია. თუმცა გლადსტონი დიდ თანგმნობას პოულობს პარლამენტის გარეშე, მაგრამ, საწუხაროდ, შიგ პარლამენტში თითქმის მარტოვანია, ასე რომ თვით მისი უწინდელი მეგობრებიც კი ჩამოეცაღვენ. თუ ესლანდელი სამინისტრო არ გამოიცვალა, ინგლისი, რასაკვირველია, რუსეთის წინააღმდეგ პოლიტიკას გაჭეკება.

გერმანია.— როდესაც გერმანიამ გამოაცხადა თავისი თანხმობა შესახებ რუსეთის ქვეშევრდომთა თავის მიფარველობის ქვეშ მიღებისა და როდესაც პრინცი რეისი *) დაინიშნა ელჩად ხანთქრის წინაშე, ყველა იმ აზრისა იყო და ესლაც არის, რომ ესგარკეობა ერთხელ კიდევ ნათლად ამტკიცებოს რუსეთისა და გერმანიის მეგობრობასა. მართალია ეს თუ არა, დემოტმა უწვის, მაგრამ ის კი ვიცით რომ გერმანია მარტო რუსეთის პატივისცემისათვის არა გზავნის პრინცი რეისს. გერმანიას ჰსურს დიხსეული წარმომადგენელი იყოლიოს სტამბოლში შემდეგისთვის, როდესაც მოლაზარჯება ჩამოვარდება აღმოსავლეთის საქმის თაობაზე. გერმანიას ჰსურს იყოლიოს იმისთანა წარმომადგენელი, რომელსაც შეეძლოს მტვიცედ დაიცვას გერმანიის ინტერესები. მართლად ესლა, როდესაც ყველას თავისი ჭირი აწუხებს, პატივისცემის ვიდას სტადიან.

გარდა ამისა, არ უნდა დავივიწყოთ, რომ როდესაც კონფერენცია დაიშალა, ყველა ელჩები ვითომ გულნატკენად გამოუბრძანდნენ სტამბოლიდამ და მათ მაგივრად სხვამ წი-ფოებმა არა ჩვეულებრივი დესპანნი (აგენტი) დაინიშნეს სტამბოლში. ეს იმას ნიშნავდა თურმე, რომ ოსმალეთმა გავაწეინა და ვიდრე საქმეს როგორც არ გასწორებს, ჩვეულებრივი წარმომადგენლობა შემწეადრი იქნება და ელჩების მაგივრად დესპანები იქმნებიან. ამით ვითომ სამდურავი უნდა გამოეცხადებინათ ოსმალეთისათვის. თუ ესეა, რეისის ელჩობა რადას ნიშნავს?!

— გერმანიის იმპერატორმა ელზას-ლოტარინგიაში მოგზაურობა ისურვა და, როდესაც მიბმანებულა, მცხოვრებნი, როგორც იწერებიან გასუთებში, დიდის აღტაცებით დახვდნენ. აი რა უთქვამს მას სტრასბურლის კომისიის წევრთათვის: „მე მაკვირვებს ის გულითადი თანგმნობა, რომელითაც დამისვდა მე ძველი და პატივცემული ქალაქი სტრასბურლი.“

*) გლადსტონი ის წევრია პარლამენტისა, რომელიც ესლანდელ მთავრობის წინააღმდეგ დასს ეგუთენის.

*) საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრია.

*) პრინცი რეისი ადრევე გერმანიის ელჩი იყო რუსეთის წინაშე და ენათესაება სელმწიფე იმპერატორს.

მართლაც სისარულით მიეკება ელზასის სიღბი გერმანიის იმპერატორს თუ არა, ვინ იცის, მაგრამ დიდად სჯეტო ვია. იმპერატორი ვილელმის მართლაც თანაგრძობის მოპოვებისათვის არ წაბძნებულა ელზასში. იმან კარგად იცის რა გრძობა უტრიალებთ გულის ელზასელებს. მის მოგზაურობას სამხედრო განზრახვაც ჰქონია. მის ნამდვილად უნდა შეეტყო, თუ რამდენად არის ელზასის ჯარი იმ ჯარსებზე ნაკლები, რომელიც, მოლტკეს სიტყვით, საფრანგეთსა ჰყავს გამოყვანილი საზღვარზე და უნდა იქვე ცნობაში მოეყვანა, თუ რა საშუალება უნდა იმართოს, რომ საფრანგეთის სამხედრო ძალას თვისი ძალა შეუსწოროს.

— იმავე რეისტრის სხდომაში, როდესაც მოლტკემ სთქვა თავისი სიტყვა გერმანიისა და საფრანგეთის ლაშქრობაზე, ჩამოვარდა ლაზარაკი აგრეთვე აღმოსავლეთის საქმეზე და რამა დემუტატმა სხვათა შორის სთქვა, რომ გერმანიის ინტერესები სრულყოფით ისე დაშორებული არ არიან აღმოსავლეთის საქმეზე, როგორც ზოგიერთებს ჰგონიათ. გერმანია არის დროსთანსამ არ იქნება, რომ იქ, სცა ღუნიო ზღვას ერთვის, (УСТЬЕ Дуная) რუსეთმა ჩივილს ხელში რაიმე ნაწილი. გარდა ამისა გერმანიისა და ავსტრიის ინტერესები ერთი და იგივე არიან. ერთის სიტყვით, ამ ბასმა ყველას ცხადად დაანახა, რომ ძალიან შესაძლებელია გერმანიის ზოლიტიკამ იერი იტვალოს, თუ ვინცობაა აღმოსავლეთის საქმის დაბოლოება როგორც გამკლავება.

დღისამდე თითქმის ყველა დაწმუნებულია, რომ გერმანია გულწრფელი მეგობარია რუსეთისა; დაწმუნებულია აგრეთვე რომ მომავალში, თუ რა ევროპას გადაეცა, ავსტრია რუსეთის მოწინააღმდეგე იქნება და გერმანიისა ვი მომხრე. თუ ესა, მამ გერმანიის ავსტრიის მოწინააღმდეგეთაც იქნება. ეს სჯეტოა და აი რად. ადრე თუ გვიან ავსტრიის დარღვევაც მოსალოდნელია. ვინ იცის, იქნება, როგორც ესა აღმოსავლეთის საქმეა წამომდგარი, ისე მომავალში „ავსტრიის საქმეც“ იყოს წარუყენებული. მეორეს მხრით გერმანიამ იცის, რომ ადრე თუ გვიან ავსტრიის ნემენცები მას ჩაუვარდება ხელში. იცის მაგრამ ჯერ-ჯერობით ავსტრიის დაცვა უნდა, რადგანაც ავსტრიის მის თვალში არის ის სიმეგრე, რომელიც იტვალს რუსეთის იმპერაციას და არ უშუბს მას მტკიცედ შემოდვას იქნა ევროპაში და ამით გერმანიის მძლავრს მოცილეს თავიდან შორებს. ვის კერძოდ მიიხრობა ავსტრიის სლავიანების თანაგრძობა, ამისი ვი რა მოგახსენოთ.

1848 წ. აი რა სთქვა ზალანციმი, მაშინდელმა ჩეხელთა მოთავემ: „ავსტრია რომ სრულყოფით არ ყოფილიყო, სლავიანების სასარგებლოდ ჩვენ უნდა გავტყუნიანო“.

ეს სიტყვები, რასაკვირველია, იმას ვი არა ნიშნავს, რომ სლავიანებს დიდი სიყვარული ჰქონდეთ ავსტრიისა. საზოლიტიკო ცხოვრება იმისთანა რამ არის, რომ გუშინდელი მტრები დღეს მეგობრდებიან. შემოსენებული სიტყვები ზალანციმსა გერმანიის წინააღმდეგ იყენეს თქმულნი, რადგანაც ჩვენსა ემენოდა გერმანიამ არ ჩამოვარდნა. დღესაც ავსტრიის სლავიანებს თავისუფალი ცხოვრება უნდათ და ამის გამო ყოველ დანიშნულებას იმარტებს თავისი თავი არ ჩამოვარდნის არავის, ვინც უნდა იყოს, გერმანიის იქნება თუ სხვა ვინმე.

საზრანბეთი. სენატი და დემუტატო ზალანციმი შეიყვანენ 19 ანრილს (1 მაისს) ვრსალიში. დიდის მოუთქმელობით მოკლდნენ ამ დღეს, რადგანაც ყველამ იტვალა, რომ დიდი და ცხარი ბასი ვაიმართებოდა იმ საქმეებსა თანაზე, რომელიც ზარდამენტის უქმობის დროს აქმდნენ საფრანგეთს. მეორე ერთმა საგანმა მიიზღო საზოგადოების ყურადღება. ბოლოს დროს საფრანგეთში, და სხვა ქვეყნებშიც, გაძლიერდა კათოლიკის სამღვდლოების მოძრაობა, რომელსაც საგანად აქვს აღადგინოს დამტეული უფლება და ძალა ზაზისა. ამ ვაუბატონებს, რომელთაც ჰსურთ ხელმოკრედ იგივე უფლება მიანიჭონ ზაზს, როგორც საშუალ-საუგუნეში ჰქონდა, უწოდებენ კლერიკალებს, უტრამენტაციებს. ამ ბოლოს დროს, ამ კრელიკალებს მნელი საქმე დაეძრათ თითქმის ყველგან, გერმანიაში, თუ იტალიაში, თუ საფრანგეთში: უწინდელ დროს თვითონ ხელმოწყობებს ემინოდათ ზაზისა და ესა ვი საკრე სასკლემოფომ იმ რიგი მიმართულება მიიღო, რომ სრულყოფით დანიმრჩილსა ზაზი და ყველას მისი მომხრე. გარდა ამისა კლერიკალებს წავრთვით უწინდელი სიმიდირე, და საზოლიტიკო ცხოვრებაში გავლენა ჩამოერთოთ. თუ უწინ ზოლიტიკა კეთილხერდა ხომე ეკლესიას, ამ უამად თვითონ ეკლესიის ემორჩილება საზოლიტიკო ცხოვრებასა. თუძც ეს ყველასა, მაგრამ მაინც კლერიკალებს იმოღეს ძალა ვიდრე შეჩნათ, რომ დრო გამძვებით გამძვონ თავი და ბრძოლა გაუწონ სასკლემოფოს. მათ მაინც ვიდრე დიდი გავლენა და სმა აქვთ უმწვილების აღზრდაში. დიდი გავლენა და სმა აქვთ დედა-ვაცთა შორის, რომელთაც კლერიკალები უფრო ძალე აიყოლიებენ ხოლმე, ვიდრე მამა-ვაცთა.

აი წარუვაც გამძვებს თავი კლერიკალებმა და შეუდგათ ერთი საშინელი მოძრაობა და ფაცა-ფუცი. ამ ვვარის მოძრაობის მიზნს იხინი, რასაკვირველია, ყოველთვის ზოლოდობ: წარმოსთქვამს ზაზი ცხარ სიტყვას და დაუხატავს მათ თვის უბედურსა და გაჭირვებულ მდგომარებას, მაშინვე მისი სმა ნალარის კვრას. კლერიკი-

ღებს შეუდგებათ ერთი საშინელი ქოთქოთი, მღვწე-
ბიან ახლის დროის წისხვისა და შეხვეწებას, მღვწეობას
ქადაგებას, რომ გათუქვდა დრო, დიერთი აღარავის არ
სწამს და მისის საქაო მეძვიდრის, შაშის სასკობს
აღარავის არ აქვს. ამ რიგ ქადაგებაში, წასაკვირველია,
ისინი საზოგადოებო საგნებსაც ესებან. სასკელში იმ
წინათვა მათ უწინდელი ძალა და ესლ მათ ჭსურთ იმ
რიგი სასკელში იმ განწყობილება და დღისონ და იმ რი-
გი კაცები დაყენონ მითავეთ, რომელთაც იგივე წადი-
ლი და განწრახვა აქვთ გულში, როგორც თვით კლე-
რიკალებს.

საფრანგეთში კლერიკალები რესპუბლიკის მტრები
აჩიან და ჭსურთ დაწინა მონარქიული მთავრობა, რად-
განაც მონარქიისაგან მეტ სიკეთეს მოკლიან, ვიდრე
რესპუბლიკისაგან. ამ უმად საფრანგეთში საჯარო ყრი-
ლობა და ქადაგება, რომელიც საზოგადოებო საგნებს ესე-
ბა, აღკრძალულია სამღვდელთათვის. სასკელიერო კაცებს
სასკელიერო სამსახური აქვთ მინისტრული და არა აქვთ
უფლება საზოგადოებო საქმეებში გაკრიონ. თუ იცა ამის-
თანა განონი სუფიკს, მაგრამ მინც კლერიკალები თავი-
სას არ იშლიან და ბევრსაც ქადაგებენ და საჯარო ყრი-
ლობასაც ჭსართავენ. ბოლოს დროს, როდესაც შარლ-
მენტი შესვენებას მიეცა, ეს ქადაგება ისე გავრცელდა,
რომ მთავრობას არ შეეძლო ვეროვანი ურადლება არ
მიეცია, მით უფრო რომ კლერიკალების მოძრაობა უთან-
ხმოებს მოასწავებდა საფრანგეთისა და იტალიის შორის,
სადაც კლერიკალები იმავე განსაცდელში იყვნენ მთავრო-
ბისაგან და იმავე მეტადინობაში, რომ შაში გადაწინაონ
იტალიის მთავრობის ვითომ-და ძალ-მოძრებობას. იტალიის
მთავრობა სედავდა, რომ საფრანგეთშიაც დიდი მოძრა-
ობაა შაშისათვის და, წასაკვირველია, შეშინდა—ამისკამ
მამე უთანხმოება რამ არ ჩამოგვიარდესო მე და საფ-
რანგეთსაო. შეშინდა აგრეთვე საფრანგეთის საზოგადოე-
ბაც: ამ კლერიკალებს ერთი ვაივალასი არ ავტიტებს
წაო. ამის გამო საზოგადოება მოუთმენლობით ელდა
შარლმენტის კრებას, რადგანაც დაწმუნებული იყო,
რომ რესპუბლიკელები უთუოდ შსუსს მოჭკითხვენ მთავ-
რობას, თუ რა ღონისძიება ისმარა მან, ან რას აწირობს
ამ უმგზავსო მოძრაობის მოკვეთისათვისაო.

მართლა და, შეიყარა დეპუტატთა შარტი თუ არა,
დეპუტატს ლებლანმა გამოიწვია მთავრობა შსუსის სა-
გებლად. ლებლანმა სიქა: უმე არა მსურს შე-
ურცხს-ყოფა არც საწმუნებობის გრძნობისა, არც
სინიდაის, თავისუფლებისა. რესპუბლიკის დასს მ-
თი სრული შატივის-ცვა აქვს. აგრეთვე არა მსჭვან-
რასვა ვაწყენინო საფრანგეთის სამღვდელთა უმრავლე-
სობას, რომელიც ერთგულად ასრულებს თავის მოკლე-

ობასა. მე სასკეში მაქვს მხოლოდ ის საზოგადოებო და
სასკელიერო დასი, რომელიც საზოგადოების სინიდაის
წინააღმდეგ იჭრება და ყოველ ღონისძიებას ხმაწობს, - აკე-
ბი როგორმე ხეში უწინდელი გავლენა კვლავ მოკიპოვოო.
ამ დასის წინააღმდეგ განხმა მკაცრი საშუალება უნდა
მიიღოს. ამ დასის გავლენა დიდა; ბევრგან მას მთლად
უწყობა შიკრულ-დაწყობითი სწავლა; საშუალ სასწავლებ-
ლებშიაც უჭირავს მას გრცელი ადგილი. გარდა ამისა,
მან უმადლეს განათლებისათვისაც გამართა უნივერსიტე-
ტი; ჭსბუკთა უმრავლესობა მის სკელშია. ისტორიის გა-
დასწავლა კვლავ, ესლანდელის სკელის მიდრეკილებისა და
კვანტომობის გრძნობის შეურაცხ ყოფა, ყველა აკტო-
რიტეტის ურ-მოჭრელი მოწინააღმდეგა—ამ რაში მდგო-
მატობს ამ დასის სასწავლებელთა მიმართულება. ამ და-
სის კაცებს კარვად ესმით, რომ მხოლოდ უმეცრების
მე-სებით შეუძლიანთ მოიპოვონ მრავალი მომსკე.
ივანი შინაურს აღზრდაშიაც ვი ამავე მიმართულებას
ადგანან. მასწავლებს აგონებენ და უნერგენ, რომ ყოვე-
ლი წესიერება და განწყობილება სასკელში იყოსი უსეირა
და მირანად აღმოსაფხვრელიო. ამ სასით ჭსბუკთ ჭსწრ-
თინან და ამზადებენ ურთი-ერთ შორას სისხლის ღრი-
სათვის.

თავისუფლებას შეეძლო სათავილოთაც მიეღო ეს ამბავი
და ყუბიც არ ეთხოვებინა ამ კვარის მანქანებისათვის, მაგ-
რამ აქ მთელი, განწყობილი შეტქმულობა არის საზოგადოე-
ბის დასამხობლად გამართული. აქ საზოგადოებას სისხლის
ღვრას უჭადიან მარტო მისთვის, რომ დაიბრუნონ უწინ-
დელი უფლება, კვლავ ხამოვადონ ის რიგი და წესი, რომელ-
ნიც საუკუნის განსვენებას მიეცნენ. ეს ამბავი დროებითი
შეცდომილება ვი არ არის, ეგ არის მთელი განწყობი-
ლება, რომლის მოთავედ ერთი დიდი კამიტეტი, სკე-
თა-მძღვანელი სსვა შრომინციებში-მოყოფთა კამიტეტე-
ბისა. ესეთი მდგომარეობა საქმისა შეუძლებელია რომ
განავრძოთ; საჭიროა ვიდონოთ რამე, რომ ეგ ბოროტ-
მქმედობა ამოკვეთოთ; საჭიროა, რომ ყოველმა ამ
კვარმა დანაშაულმა დაუყოვნებლივ ვეროვანი სასჯელი
მოიპოვოს განონში“.

წმინდი ამბავი. ინგლისს ძალიან ცხარე შსუსნი
გაუგზავნია რუსეთში რმის გამოცხადების თაობაზედ.
ამ შსუსში მოხსენებულა, რომ რუსეთის მოქმედობა
როგორც ხალხთა შორისის შეკრულობისა, აგრეთვე კე-
რობის სკართო ინტერესების წინააღმდეგიაო; რომ სკე-
მწიფე იმპერატორი რმის გამოცხადებით კვრობის თანს-
მობას გადაუგზაო.

— ინგლისი სცდილობს თუ რამე, რომ რმი მარტო
რამდენისა და რუსეთის შორის გათავედს და სსვა სა-
სკელში იყოს არ გადაედვას. თუ რუსეთი სტამბოლს არ

შეეხება აწავითარი მტრება რუსეთისა და ინგლისის შორის არ ჩამოვარდება.

— ეტყობა, თუელი ძალიან შემოჭვლებია ოსმალეთს რომ ბერძნების ეკვლეხებთა სიძლიდრე საზ. ნაში მიჰქვს. გარდა ამისა, მთავრობას გარდაუწყვეტია, რომ მოხელე კაცებს მხოლოდ ნასევარი ჰამაგიანი მიეცემათ.

— საფრანგეთის დეპუტატთა პალატში მთავრობის საგან მოუგითხავთ პასუხი იმის თაობაზე, რომ ზოგიერთს საფრანგეთის გაზეთს ცუდად უსსენებია რუსის იმპერატორი. მთავრობას მიუგია პასუხად, რომ ისინი, ვინც რუსის იმპერატორის საწუენად იქცევიან, დიდად დასაძმარისნი არიან, მით უფრო რომ საფრანგეთს სურს რუსეთთან მეგობრობა იქონიოს.

— საფრანგეთის გაზეთებში დაბეჭდილია ოსმალეთის ელჩის მიერ განცხადება, რომელშიც მოხსენიებულია, რომ სტამბოლში უცხოეთის ლეგიონი იკრიბებოდა და ვისაცა ჭსურს ამ ლეგიონში შესვლა ელჩთან უნდა ჩაეწერნენ.

— სტამბოლიდამ ერთს ვენის გაზეთში იწერებინ, ოსმალეთის მთავრობას ჭსურს, რომ შუკლა მამადის რკუელის ხელში იყოს თავ-თავისი სამუდამო ელჩი ჭყვანდეთ ოსმალეთის წინაშე. ამ სურვილს ის განზრახვა აქვს, რომ ოსმალეთს უოკელ უამს შეეძლოს იქონიოს მათთან დიპლომატიური მიმოსვლა.

ზოგიერთი რამ

ჩვენ ისტორიის, არსებულ ოგიაზე, უოფა-ცხოვრებაზე და სხ.

II

ოსმალის საქართველო ანუ მესხეთი.

კვლად საჭიროდ ვნაცხთ „იუკრიის“ მკითხველებს ორიოდ სიტყვა მოვასსენოთ იმ მხარეზე, რომელზედაც ახლა მიქცეულია საზოგადო ურადლება ჩვენი. ამ მხარეს უწინ ვრქვა სხვა და სხვა სახელი: მესხეთი, შემოქართლი, საათაბაგო. იმისი საზღვრები იყოფოდა აწინდელის ზოგჯომის ხეობის შესავლიდამ და ერთის მხრით იმერეთისა და გურჯისტის მითთ თავდებოდა, და სხვა მხრებით კი— შავის ზღვით, ტრანზიონის კიდით და სომხეთის მითთ. აქ იყოფა მდინარე მტკვარი; აქვე მომდინარეობს ჭოროხი, რომელიც ბათუმის მასლობლად ერთვის შავ-ზღვას. მთელი მესხეთი მითანი ადგილია, მშენიერის ჭავით შესავლებულია და სხვა და სხვა გარის მცენარის მომცემია.

ოსმალის საქართველოს ძველად უფრო მესხეთად ოდდენ რეგოროთაც ქართველნი, აგრეთვე უცხო

ტომნი. არც ახლა არის დავიწყებული ეს სახელი— იქაური მცხოვრებნი ჩვენ დროსაც მესხებად იწოდებიან. მესხეთს ისენიებენ ებრაელთ მიწრადნი— მოსე და წინასწარ-მეტყველი ეზეკიელი და ბერძნის მიწრადნი სტრაბონი, პლოტინი და სხვ. ისინი მესქეს, მოსესს, აგრეთვე ტუბალს, ტიბალს, ტიბარენს უოკელთვის საერთოდ უხვეებენ და თანა-ხმად გვარწმუნებენ, რომ მესხენი მესხნი არიან, ტუბალნი იბერნი. ამ აზრის შესამოწმებლად შესანიშნავს საფრანგეთის მეცნიერს ვივიანე სენ-მარტენს რამდენიმე საბუთი შემოაქვს თავის თხზულებაში: *Becherches sur les populations primitives du Caucase, Paris, 1847.* თვით იმ მთებს, რომელნიც მცირე აზიის მთას ტარს უერთდებიან და საზღვის მხარეს მოსდევენ, უწოდდენ მესხეთისა ანუ მესხეთის მთად. გარდა ამისა ძველადვე დარწმუნებული იყვნენ უცხო ტომნი, რომ მესხებს და ტიბარენებს ერთი შთამომავლობა და ერთი ენა ჭქონდათ. ვივიანე სენათ შორის ამას იმითი ამტკიცებს, რომ სტრაბონი (სცხოვრებდა პირველ საუკუნეში ქრისტეს წინად) ქართველებს, მესხებს და ლაზებს ანუ ჭანებს ერთის სახელ წოდებით ისენიებს: *les peuples tibaréniens* „ერნი ტიბარენისანი.“

